



სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური  
დირექტორის

ბრძანება № 07

2017 წლის 07 თებერვალი

ქ. თბილისი

მოსწავლე გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსის „ლეონარდო და ვინჩი“-ს  
გამოცხადებისა და კონკურსის პირობების დამტკიცების შესახებ

„მოსწავლე გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსის „ლეონარდო და ვინჩის“  
დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 23  
თებერვლის N98 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის, „საჯარო  
სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის  
დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და  
მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული  
წესდების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ შოთა  
რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო და სასწავლო  
ღონისძიებების უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, მაია ქაჯაიას (რეგისტრაციის  
N84654; 01.02.2017წ.) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს მოსწავლე გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსი „ლეონარდო და ვინჩი“ 2017 წლის 7 თებერვალს;
2. დამტკიცდეს მოსწავლე გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსის „ლეონარდო და ვინჩი“-ს პირობები ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად;
3. დამტკიცდეს კონკურსის პირველ ეტაპზე მონაწილეობის შესახებ განცხადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N2-ის შესაბამისად;
4. დამტკიცდეს კონკურსის მეორე ეტაპზე მონაწილეობის შესახებ განცხადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N3-ის შესაბამისად;
5. დამტკიცდეს მოსწავლე გამომგონებელთა კონკურსის „ლეონარდო და ვინჩის“ პირველ ეტაპზე წარსადგენი საკონკურსო ნამუშევრების კვლევის გეგმა/პირველადი იდეის ფორმა ამ ბრძანების დანართი N4-ის შესაბამისად;
6. დამტკიცდეს კონკურსის მე-2 ეტაპზე წარსადგენი პროექტის აღწერილობის ფორმა ამ ბრძანების დანართი N5-ის შესაბამისად;

7. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს თეა მყავანაძეს წინამდებარე ბრძანების საჯარო გაცნობისათვის განთავსება ფონდის ვებგვერდზე: [www.rustaveli.org.ge](http://www.rustaveli.org.ge);
8. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე განთავსებისთანავე;
9. ბრძანება შესაძლოა გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6)

თინათინ ბოჭორიშვილი

გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

